

ცოცხადი საქონლის ექსპორტის გამო საქართველოში საქონლის ხორცის დეფიციტი შეიქმნა



მიუხედავად იმისა, რომ საქართველოდან მსხვირფეხა საქონლის ექსპორტი მცირდება, ქვეყანაში საქონლის ხორცის დეფიციტია. იზრდება მისი გასაყიდი ფასიც.

სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით, 2018 წლის იანვარ-აგვისტოში ექსპორტზე ჯამში **17,913.0** ათასი ლარის ღირებულების მსხვირფეხა საქონელი გავიდა. მხოლოდ 2018 წლის აგვისტოს თვეში **3 226,3** ათასი ლარის მსხვირფეხა საქონლის ექსპორტი განხორციელდა, 2017 წლის ანალოგიურ პერიოდში კი ეს ციფრი **4 791,1** ათას ლარს შეადგენდა.

ექსპორტის შემცირების პარადიგმად, ბოლო თვეების განმავლობაში გაიზარდა საქონლის ხორცის ფასიც. თუ 2-3 თვის წინ ერთი კილოგრამი საქონლის ხორცი თბილისის სუპერმარკეტებში საშუალოდ **14** ლარი იყო, დღეს უკვე **17** ლარი ღირს. ფასების ზრდას „საქსტატიც ადასტურებს – თუ **1 კგ-ს** ფასი 2013 წელს **11.59** ლარს შეადგენდა, 2018 წლის აგვისტოს მდგომარეობით, **1 კგ** საქონლის ხორცის ფასი **14.35** ლარი იყო.

ბაზარზე საქონლის ხორცზე მოთხოვნის ზრდას და ამ კუთხით შექმნილ დეფიციტს ასახელებენ სასაკრაოებში ადგილობრივ ბაზარზე საქონლის ხორცის გაძვირების მიზეზად.

სასაკრავო შპს „მატალორის“ ხელმძღვანელი იოსებ კობტაშვილი აღნიშნავს, რომ ხორცის ფასმა ბოლო ერთი წლის განმავლობაში საშუალოდ, 3-4 დარით მოიმატა. მისი განცხადებით, თუ გასურ წერს 1კგ საქონლის ხორცის ასაღები ფასი 9 დარს შეადგენდა, ახლა 11 დარით განისაზღვრება. ღორის ხორცის შემთხვევაში, თუ მისი ასაღები ფასი იყო 8 დარი, ახლა მისი ღირებულება 9 დარით განისაზღვრება.

როგორც კობტაშვილი განმარტავს, დღეს ბაზარზე საქონლის ხორცის დეფიციტია, რაც ფასის ზრდის საფუძველი ხდება. კითხვაზე, რა ქმნის ბაზარზე დეფიციტს, ამის პასუხი კობტაშვილს არ აქვს. მისი ინფორმაციით, თუ გასული წლის ანალოგიურ პერიოდში დღეში 100-200 სური საქონლის დაკვრა ხდებოდა, დღეს ეს რიცხვი 30-მდეა შემცირებული.

საქონლის ხორცის დეფიციტზე საუბრობს თბილისში არსებული სასაკრავო „ღომას“ წარმომადგენელი გელა ქარუმიძეც. მისი განმარტებით, ექსპორტზე ცოცხარი საქონელი დიდი რაოდენობით გადის და ქვეყანაში დასაკრავი საქონელის რაოდენობა შემცირებულია. მისივე განმარტებით, სავარაუდოდ, ეს შეიძლება იყოს ხორცზე ფასის ზრდის საფუძველი.

მისი განცხადებით, დღის განმავლობაში სასაკრავო „ღომას“ 2-3 სური საქონლის დაკვრა თუ უწევს, რაც მისი განმარტებით, დაბალი მარჟენებელია.

„ფერმერთა ასოციაციის“ თავმჯდომარე ნინო ზამბახიძე განმარტავს, რომ ქვეყანაში საქონლის ხორცი დეფიციტურია, რაც ფასის ზრდაში გამოიხატება. მისი ინფორმაციით, ყველაზე მეტი საქონელი საქართველოდან აზერბაიჯანში გადის, თუმცა, მისივე ინფორმაციით, ეს ყველაფერი საბაჟოს გავლით ხდება.

ზამბახიძის განცხადებით, ქვეყანაში ფერმების სიმცირეა და ამის რამდენიმე მიზეზი აქვს. პირველია, დანაწევრებული მიწები, საძოვრების ნაკლებობა და მეორე-ჯიშისანი საქონლის არ შემოყვანა. ზამბახიძის განცხადებით, მთავრობა მეცხოველეობის

მიმართულებით პროექტების განხორციელებას გეგმავს, ეს იქნება მესორცური და მერძეური მიმართულებით.

„პრობლემაა ის, რომ ადგილობრივი საქონელი არ არის იმდენად ხარისხიანი, რომ აქ გაიყიდოს. შესაბამისად, მისი გატანა ექსპორტზე ხდება,“- განმარტავს მამბახიძე.

commercant.ge